მოძღვართ-მოძღვარი ქართული სამართლის ისტორიიდან

(წერილი ეძღვნება პროფესორ ივანე სურგულაძის დაბადებიდან 120 წლისთავს)

ბრძენს უთქვამს, ყველანი საკუთარი ბავშვობიდან მოვდივართო და, მართლაც, თუ ქართველ კაცს ბავშვობაში მშობლის სიყვარული, ნათესავ-მეგობრების სითბო და სიჭაბუკეში დედა-უნივერსიტეტის აუდიტორიების მადლი არ მოგკლებია, წესით „სოფლის სამდურავი“ აღარ უნდა დაგცდეს. მაგრამ რა ვუყოთ, თუ დღემდე თან მდევს ქართული სამართლის ისტორიის დიდოსტატების, მოძღვართ-მოძღვრების: დიდი *ივანე ჯავახიშვილის, ალექსანდრე ვაჩეიშვილის* (1886-1964), *ივანე სურგულაძის* (1903-1983), *ისიდორე დოლიძის* (1915-1984) ლექციებზე ვერდასწრებით გამოწვეული სინანული. ნუგეშად ისღა მრჩება, რომ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით თითქმის ყოველდღე ვსტუმრობ მათ უმდიდრეს შემოქმედებით მემკვიდრეობას და, მათივე დამსახურებით, ქართული სახელმწიფოს მრავალათასწლიანი ისტორიის ურთულესი ლაბირინთებიდან ხელცარიელი არასდროს დავბრუნებულვარ.

კვლევის სიღრმით, ხედვის ორიგინალობით, თემატური მრავალფეროვნებითა თუ მოცულობით ქართველ მეცნიერთა ამ დიდებულ თანავარსკვლავედშიც კი გამორჩეულია ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი მებალავრის, პროფესორ ივანე სურგულაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა. დიდ მეცნიერს წელს დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდა[1] და მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ჟურნალ „იუსტიციის“ რედაქციას, მის დამფუძნებლებს, ყველას, ვინც შესაძლებლობა მოგვცა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, სათანადო პატივი მივაგოთ დიდი მამულიშვილის ხსოვნას. ღირსეულ პიროვნებას, ვინც უამრავი დაბრკოლების, მკაცრი საბჭოთა ცენზურის პირობებში შეძლო და მისივე ხელმძღვანლობით შექმნილ ახალგაზრდა ქართველ სამართლის ისტორიკოსთა სკოლას, მარქსისტულ-ლენინური იდეალების ნაცვლად, უმთავრეს ამოცანად საკუთარი ქვეყნის სამართლებრივი მემკვიდრეობის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესწავლა-წარმოჩენა განუსაზღვრა. „მართალია, – წერდა პროფ. ვახტანგ აბაშმაძე, – ქართველოლოგიურ-იურიდიულ მეცნიერებებს საფუძველი ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა, მაგრამ თბილისის უნივერსიტეტის *სახელმწიფოსა და სამარ-*

1. პროფ. *ივანე სურგულაძე* დაიბადა 1903 წლის 10 იანვარს სოფელ ჭანიეთში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) იულონ სურგულაძისა და ატატო ლომჯარიას მრავალშვილიან ოჯახში. ხუთი დედმამიშვილიდან (ორი ძმა და სამი და) ის ყველაზე უმცროსი იყო.

თლის ისტორიის კათედრა მხოლოდ მას შემდეგ გახდა ქართველოლოგიურ-იურიდიული ბუნების, რაც პროფ. ივ. სურგულაძე 1947 წელს მას სათავეში ჩაუდგა"[2].

სხვა შედეგი ვერც დადგებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1924 წელს, როდესაც ბატონი ივანე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილების სტუდენტი გახდა, მეცნიერების უმშვენიერეს სამყაროში მას მეგზურობას უწევდნენ თავად *ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გიორგი ნანეიშვილი, იროდიონ სურგულაძე.* თუ მოსაკითხია, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათ „მიუძღვით ბრალი", რომ სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეულ მწუხრს სიცოცხლის ბოლომდე, როგორც პროფ. მიხეილ კეკელია შესანიშნავად ბრძანებდა, „ნაღვერდალში გახვეულს" გულით ატარებდა[3].

მიგვაჩნია, რომ ყველაზე მეტად სწორედ სამშობლოს სიყვარული, მეცნიერებისა და ზოგადად ყოველივე პროგრესულისადმი სწრაფვა აღიზიანებდა მასში აწ უკვე გასაბჭოებული საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას. თავდაპირველად ის რამდენიმე თვით დააპატიმრეს. მას შემდეგ კი, რაც გათავისუფლებიდან სულ ცოტა ხანში მისმა ყოფილმა სტუდენტმა შეატყობინა, რომ ისევ საპატიმროში უპირებდნენ დაბრუნებას, ახლობელ-მეგობრების გადმოცემით (თავად ბატონი ივანე ყოველთვის თავს არიდებდა საბჭოთა რეპრესიებზე საუბარს), დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ის მხოლოდ სამშობლოსთან იძულებითმა განშორებამ იხსნა სიკვდილისგან.

1936-1942 წლებში ახალგაზრდა მეცნიერი ცხოვრობდა და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა რუსეთის ფედერაციაში. ჯერ ლენინგრადში (დღევ. პეტერბურგი), საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის ფილიალში. 1940 წელს აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სპეციალობით[4], რის შემდეგაც რამდენიმე წლის მანძილზე ლექციებს კითხულობდა

2. *ვახტანგ აბაშმაძე.* „ივანე სურგულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა", წერილი წინასიტყვაობის სახით დართული აქვს პროფ. ივ. სურგულაძის გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ მის წიგნს: „საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან", თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1986. 6.
3. პროფესორ ივ. სურგულაძის დაბადებიდან 90 და გარდაცვალებიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული: „ქართული ჩვეულებითი სამართალი", წიგნი IV, რედ.: *მ. კეკელია,* თბ. გამომც. „მეცნიერება", 1993. 3.
4. საგულისხმოა, რომ ჩვენს მიერ მოძიებული პროფ. ივ. სურგულაძის ყველაზე ადრინდელი, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები მხოლოდ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის აქტუალურ საკითხებს ეძღვნება (სრ. იხ. 1. „რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი პროექტის გამო", ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1928. №6, 140-143; 2. „სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ზოგადი ნაწილის შესახებ", ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1928. № 11, 269-271 და 3. „კერძო დანაშაულის შესახებ", ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1928. № 18, 434-438) და არცერთი წერილი სამართლის ისტორიაში. შესაბამისად, არ გამოვრიცხავთ, რომ ე.წ. *„პარტიულმა სამართალმა",* უფრო სწორად მისი სისასტიკის, უსამართლობის საკუთარ თავზე გამოცდამ, მოგვიანებით ბატონი ივანეს მიერ სამართლის პოზიტიურ დარგებსა (იგივე სისხლის სამართალსა) და სამართლის ისტორიას შორის არჩევანის გაკეთებისას გადამწყეტი მნიშვნელობა შეიძინა. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საქართველოს მრავალათასწლიანი ისტორია ახალგაზრდა მეცნიერს კვლევა-ძიებისთვის გაცილებით ფართო ასპარეზს, მეტ შემოქმედებით თავისუფლებას ჰპირდებოდა, ვიდრე პოზიტიური სამართლის ნებისმიერი დარგი.



სვერდლოვსკის (დღევ. ეკატერინბურგის) იურიდიულ ინსტიტუტში. ბატონი ივანე მხოლოდ 1942 წელს, ექვსწლიანი განშორების შემდეგ ახერხებს საქართველოში დაბრუნებას. 1946 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: *„ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე“,* ხოლო მომდევნო 1947 წელს სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრას, რომელსაც გარდაცვალებამდე, 1983 წლის 10 ოქტომბრამდე ხელმძღვანელობდა.

40-იანების მიწურულს სასიკეთო ცვლილებები მოხდა მეცნიერის პირად ცხოვრებაშიც. ბატონი ივანე დაოჯახდა და ქალბატონ ეთერ ტუღუშთან ერთად შექმნა შესანიშნავი ქართული ოჯახი. მათი ვაჟია დღეს უკვე ცნობილი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ნუგზარ სურგულაძე. ამავე უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებაზე ათწლეულებია ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ბატონი ივანეს ქალიშვილი ქეთევან სურგულაძე.

სამშობლოში დაბრუნებიდან რამდენიმე წელში მოდის პირველი დიდი შემოქმედებითი წარმატებაც. მხედველობაში გვაქვს პროფ. ივანე სურგულაძის მიერ 1952 წელს გამოცემული ფუნდამენტური გამოკვლევა სახელწოდებით: „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“. ნაშრომი, რომელიც გამოცემისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და დღესაც, გამოცემიდან ათწლეულების შემდეგ, სამართლის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის სამაგიდო წიგნად რჩება. ნაშრომი იწყება ქართული სამართლის ისტორიის კვლევასთან დაკავშირებული წყაროების ვრცელი, უაღრესად საინტერესო მიმოხილვით. ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტედან დაწყებული, ქართული ჰაგიოგრაფიის, შუა საუკუნეების როგორც საერო, ისე საეკლესიო სამართლის დიდებული ძეგლებით გაგრძელებული, XIX-XX საუკუნეების გამოჩენილ თუ ნაკლებად ცნობილ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომებით დამთავრებული, თითოეული მათგანის მიერ დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და მეცნიერული კვლევისას დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით, გვიანფეოდალური ქართლის სამეფოს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი სახელისუფლებო ინსტიტუტების (მეფე, დარბაზი, მეფის სამდივნო, საპოლიციო აპარატი, მეფის დაცვა, სასამართლო, განსაკუთრებული ხასიათის მოხელეები, სოფლებისა და ქალაქების ადგილობრივი სამოხელეო აპარატის), მათში შემავალი ათეულობით სახელოს (თანამდებობის), როგორც მოცულობით, ისე მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით, მანამდე არნახული სისრულით აღწერა-დახასიათებითა, დაბოლოს, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ფეოდალური ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების თავისებურებების წარმოჩენით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ შესანიშნავმა წიგნმა დღის სინათლე ომისშემდგომ წლებში იხილა. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ საბჭოთა ხალხის ცხოვრებაშიც ბევრი რამ შეცვალა. გაჩნდა იმედი, რომ სამუდამოდ წარსულს ჩაჰბარდე-

ბოდა ავადმოსაგონარი „დასმენებისა და რეპრესიების“ მანკიერი პრაქტიკა. მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. იმავე 1952 წელს საკავშირო გაზეთ *„იზვესტიაში“* იბეჭდება ვრცელი წერილი სათაურით „ისტორიული სიმართლის წინააღმდეგ“. მასში პროფ. ივ. სურგულაძის ჩვენ მიერ ნაქები მონოგრაფია შეფასებულია როგორც „არასრულყოფილი, უხარისხო და ისტორიული სიმართლის დამახინჯებულად წარმომჩენი გამოცემა“. თავად მეცნიერისთვის კი სამართლებრივი პრობლემების კვლევისას „მარქსისტული მეთოდოლოგიის იგნორირებისა“ და „საქართველოს წარსულის იდეალიზაციისთვის“ წერილის ავტორები, ვინმე: ს. ივანოვი, პ. ქორქია და ა. ანტოშინი კატეგორიულად მოითხოვდნენ „რესპუბლიკის გამომცემლობათა კარები მყარად დახშულიყო“[5].

სამწუხაროა, მაგრამ ამ მოდგმის „კეთილმოსურნეები“ ბატონ ივანეს სიცოცხლის ბოლომდე არ მოჰკლებია. როგორც პროფ. მიხეილ კეკელია გულისტკივილით შენიშნავდა: „ულირსი თანამემამულენი უკანასკნელ დღეებამდე მუქარით შეახსენებდნენ ბატონ ივანეს მის თითქოსდა „საეჭვო წარსულს“[6]; სიცოცხლის ბოლომდე არ პატიობდნენ ქართველ მეცნიერს, რომ, მათი მხრიდან არაერთი მცდელობის მიუხედავად, კომუნისტური პარტიის რიგებში შესვლაზე ვერ დაიყოლიეს. მიუხედავად აღნიშნულისა, საკუთარ ქვეყანასა და ხალხზე უზომოდ შეყვარებულ მეცნიერს ერთხელ გაკეთებული არჩევანისთვის არასდროს უღალატია და სიცოცხლის ბოლომდე დიდი ნაყოფიერებით აგრძელებდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. აღნიშნულის დასტურია *ორ ასეულზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი* (აქედან ორ ათეულამდე სახელმძღვანელო და მონოგრაფია), რომლის გარეშეც სამართლის მეცნიერების დარგები: ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, უბრალოდ წარმოუდგენელია[7].

მეტიც, როგორც პროფ. ვალერიან მეტრეველი აღნიშნავდა, *„საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიას“,* როგორც სასწავლო და სამეცნიერო სამართლებრივ დისციპლინას, სწორედ ივანე სურგულაძემ ჩაუყარა საფუძველი[8]. სწორედ მისი დაუღალავი შრომის მადლია, რომ დედაუნივერსიტეტის კედლებში დღემდე, ყოველწლიურად ასეულობით ახალგაზრდა იურისტი ეზიარება ქართვე-

5. Газ. „Известия“, 12 Августа, 1954. № 191 (11570), დასახელებული წერილი სრული სახით თსუ იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტ *ნათია სირდაძის* ქართულენოვან თარგმანთან ერთად იხ. თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერ პროფ. ივანე სურგულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“, წიგნი III, რედ.: *გ. ფერაძე,* თბ., 2015, გამომც. „მერიდიანი“. 733-740.
6. პროფესორ ივ. სურგულაძის დაბადებიდან 90 და გარდაცვალებიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული: „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, წიგნი IV, რედ.: *მ.კეკელია,* თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1993. 3.
7. პროფ. ივანე სურგულაძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია სრული სახით იხ. თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერ პროფ. ივანე სურგულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“, წიგნი III, რედ. *გ. ფერაძე,* თბ., 2015, გამომც. „მერიდიანი“. 741-790.
8. *ვ. მეტრეველი.* წინასიტყვაობა ივ. სურგულაძის სახელმძღვანელოსთვის „ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“, თბილისი, 2001. 3.

ლი ერის მრავალსაუკუნოვან საგანძურს: იაკობ ცურტაველისა და იოანე საბანისძის ქართული ჰაგიოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშებიდან დაწყებული XIX-XX საუკუნეების სამანზე შექმნილი პოლიტიკური პარტიებისა თუ მათი ლიდერების, მსოფლიო სახელის მქონე ქართველი პოლიტიკოსების სამართლებრივი შეხედულებებით დამთავრებული[9].

ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ კვლევის სიღრმისა და მეცნიერული კეთილსინდისიერების თვალსაზრისით ჩვენ მიერ გამოთქმული შეფასებები თანაბრად ეხება ბატონი ივანეს შრომებს როგორც *სამართლის ისტორიაში,* ისე *ფილოსოფიაში, თეორიაში, წყაროთმცოდნეობაში* და სხვა. ასე, მაგალითად, ქართულ წყაროთმცოდნეობაში მეცნიერული კვლევის ნიმუშებად შეგვიძლია დავასახელოთ ბატონი ივანეს მიერ შესწავლილი: ოპიზისა და მეფეთ-მეფის გიორგი III-ის სიგელები, ქსნის ერისთავის 1470 წლის სიგელი ლარგვისის მონასტრისადმი, სვიმონ მეფის 1590 წლის განწესება მეკობრეთმძებნელის შესახებ, სასამართლოს 1620 წლის განაჩენი დიდი მოურავისა და ჯავახიშვილების საქმის გამო, იოანე ბატონიშვილის სჯულდება, დავით ბატონიშვილის „მიმოხილვა“ და ა.შ. უაღრესად საინტერესო წერილები მოამზადა ქართველმა მეცნიერმა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისთვის: ათაბაგის, ამირსპასალარის, ამილახვრის, ამირეჯიბის, გზირის, ვეზირისა და სხვა უაღრესად საინტერესო სამოხელეო ინსტიტუტების შესახებ.

უდავოდ ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ბატონი ივანეს მიერ წიგნზე: *„ქართული სამართლის ძეგლებზე“* (1970) გაწეული კოლოსალური შრომა – თითქმის, ათასგვერდიანი მონოგრაფია, რომელიც გასულ საუკუნეში ქართული სამართლის ისტორიაში შექმნილ ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად შეიძლება შეფასდეს. მასში ქართული სახელმწიფო სამართლის ორი უძვირფასესი ძეგლის: „ხელმწიფის კარის გარიგებისა“ და „დასტურლამალის“ მეცნიერულად დადგენილი ტექსტებია მოცემული: გამოკვლევებით, ლექსიკონებით, საძიებლებით, კვლევის შედეგების რუსულ და გერმანულ ენაზე გადმოცემით[10].

უცხო ენები ვახსენეთ და შეუძლებელია არ გავიხსენოთ პროფ. ივანე სურგულა-

9. გვინდა გავიხსენოთ ბატონი ივანეს ვაჟის *პროფ. ნუგზარ სურგულაძის* მონათხრობი, 70-იანების მიწურულს, საღამოს სახლში დაბრუნებული, როგორ შეესწრო სუფრას, რომელზეც *ბატონი ივანე აკადემიკოსებთან: აკაკი შანიძესთან და შოთა ძიძიგურთან ერთად, „ჭიქა ღვინით“ აღნიშნავდნენ* „ცენტრიდან“ მიღებულ სასიხარულო ცნობას ბატონი ივანეს მიერ დაფუძნებული საგნის „საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლებლად დაშვების თაობაზე.

10. *ივ. სურგულაძე.* „ქართული სამართლის ძეგლები“, თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1970. საგულისხმოა, რომ წიგნში მოცემულია „ხელმწიფის კარის გარიგების“ როგორც ქართული ტექსტი, ისე ამ ტექსტის ბატონი ივანესა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ სხვადასხვა დროს, *ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შესრულებული რუსული თარგმანები.* სწორედ აღნიშნულზე წერდა 1972 წელს აღფრთოვანებით პროფ. *გიორგი ნადარეიშვილი,* რომ: „ხელმწიფის კარის გარიგების“ თარგმანის ორივე ვარიანტის მნიშვნელობა ქართული კულტურით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებისთვის უბრალოდ განუზომელია (სრ. იხ. ჟურნ. „მნათობი“, 1972, № 3. 192). რაც შეეხება „დასტურლამალს“, ამჯერად მხოლოდ იმ მრავლისმეტყველ ფაქტს გავუსვამთ ხაზს, რომ ტექსტის დასადგენად მეცნიერმა მის მიერ საქართველოსა და ლენინგრადის არქივებში სხვადასხვა დროს მოძიებული *15 ხელნაწერით* იხელმძღვანელა;

ძის ღვაწლი ქართული სახელმწიფოს ისტორიის, სამართლის ძეგლების უცხო ენაზე გამოცემა-თარგმნისა და უცხოენოვანი მკითხველისთვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ბატონი ივანეს მიერ 1968 წელს რუსულ ენაზე გამოცემული ვრცელი მონოგრაფია „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია". წიგნი, რომელმაც მრავალმილიონიანი, მრავალეროვანი საბჭოთა მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადა ქართველი ხალხის უმდიდრესი სახელმწიფოებრივი წარსული. საგულისხმოა, რომ გამოცემიდან სულ ცოტა ხანში წიგნი ითარგმნა სერბულ ენაზე და 1971 წელს სრული სახით გამოიცა *ქ. ბელგრადში* („Историу Државе и Права Грузиуе"). 1972 წელს *ქ. პარიზში* ქართველოლოგიურ სამეცნიერო ჟურნალში „ბედი ქართლისა"[11] გერმანულ ენაზე დაიბეჭდა ბატონი ივანეს წერილი მიძღვნილი შოთა რუსთაველის პოლიტიკური შეხედულებებისადმი[12], 1975 წელს იმავე ჟურნალმა, ამჯერად უკვე ფრანგულ ენაზე, გამოაქვეყნა ბატონი ივანეს კიდევ ერთი ნაშრომი, მიძღვნილი გიორგი III-ის 1170 წლის სიგელისადმი[13]. შეუძლებელია არ გავიხსენოთ 1973 წელს, პარიზშივე გამოქვეყნებული *„ხელმწიფის კარის გარიგების"* პროფ. ივ. სურგულაძის გერმანულენოვანი თარგმანი[14]. იმავე წელს ივანე სურგულაძისეული რუსული ტექსტის მიხედვით იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში გამოიცა „ხელმწიფის კარის გარიგების" სერბულენოვანი თარგმანი („Правилник Царевого Двора"). მეცნიერის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე კი, 1982 წელს ჟურნალმა *„გეორგიკამ",* გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ბატონი ივანეს წერილი: გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესახებ (X-XV)[15]. 1993 წელს, ბატონი ივანეს გარდაცვალებიდან 10 წლისთავზე, მის მიერ დადგენილ ტექსტზე დაყრდნობით, „ხელმწიფის კარის გარიგების" ინგლისურენოვანი თარგმანი წინასიტყვაობით, ლექსიკონით, შენიშვნებითა და კომენტარებით გამოსცა ბატონი ივანეს ქალიშვილმა ქეთევან სურგულაძემ[16].

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ დიდი მეცნიერის მიერ სახელმწიფო, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის ისტორიის საკითხებზე შექმნილი შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი (3000 ნაბეჭდ გვერდზე მეტი) დღემდე

11. *„ბედი ქართლისა"*- ჟურნალი დაარსდა 1948 წელს პარიზში. 1958 წლამდე გამოდიოდა ქართულ ენაზე. შემდეგ კი გადაწყდა წერილები გამოქვეყნებულიყო ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. 1985 წლიდან ჟურნალი გამოიცემა ახალი სახელწოდებით *(„Revue des Etudes Georgiennes et Caucasiennes").* ჟურნალის გარშემო შემოიკრიბნენ ქართველოლოგები მთელი მსოფლიოდან. შესაბამისად, დღესაც ძალზედ მნიშვნელოვანია ამ უცხოენოვანი გამოცემის როლი უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზების საქმეში.
12. *I. Surguladze.* „Uber die politischen Anschaugen Schota Rustaveli", „Bedi Kartlisa", revue de kartvelologie, vol. XXIX-XXX, Paris, 1972, 344-347.
13. *I. Surguladze.* „Un Dokument important de L'histoire du Droit ge'orgien: La charte du roi Georgie III (1170)", „Bedi Kartlisa", revue de kartvelologie, vol. XXXIII, Paris, 1975, 216-223.
14. *I. Surguladze.* „Die Hausordnung des Konigshofes", „Bedi Kartlisa", revue de kartvelologie, vol. XXXI, Paris, 1973, 225-245.
15. *I. Surguladze*. „Die Staatsordnung des vereinten feodallen georgiens (X-XVih.)", „Georgica", Heft N5, Jena-Tbilisi, 1982, 70-71.
16. „ხელმწიფის კარის გარიგება", ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, ინგლისურად თარგმნა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ქეთევან სურგულაძემ. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1993.

გამოსაქვეყნებელია. თავს იმითღა ვიმშვიდებთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ისტორიის მიმართულებაზე უკვე მიმდინარეობს მუშაობა მათი გამოქვეყნების მიზნით და, იმედია, დიდი მეცნიერის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ეს უძვირფასესი ნაწილიც მალე იხილავს დღის სინათლეს.

დასასრულისთვის, შეუძლებელია ცალკე არ გამოვყოთ, სათანადოდ არ დავაფასოთ ის წვლილი, რაც დიდმა მეცნიერმა ქართული იურიდიული საზოგადოების აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში შეიტანა. *15 სადისერტაციო ნაშრომი* (აქედან 5 სადოქტოროა) მისი ხალმძღვანელობით მომზადდა და წარმატებით იქნა დაცული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღარაფერს ვამბობთ იმ *ათასობით ახალგაზრდაზე,* ვინც დედაუნივერსიტეტის კედლებში ათწლეულების მანძილზე სწორედ ბატონი ივანეს ლექცია-სემინარების, მისი სახელმძღვანელოების წყალობით ეზიარა სამშობლოს ისტორიის უმდიდრეს სამყაროს. სამყაროს, რომელშიც მანამდე არნახული მადლით ენაცვლებიან, ავსებენ ერთმანეთს ფურცლები ქართული სამართლისა და ქართულ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან – დაწყებული VI საუკუნეში აიეტის, ფარტაძის, კოლხ სახელმწიფო ბრალმდებელთა ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებით; XI საუკუნეში გამართული სასამართლო პროცესის მონაწილე წმ. მამებით ოპიზისა და მიჯნაძორის მონასტრებიდან; XIV საუკუნის ქართველი დიდმოხელის „აბსოლუტური მონარქიისთვის“ სადარი ჩანაწერებით სახელმწიფო მექანიზმისა თუ უმნიშვნელოვანესი სამოხელეო ინსტიტუტების, მათ შორის, *მოძღვართ-მოძღვრის უნიკალური ინსტიტუტის* ფუნქციონალური დატვირთვის შესახებ; ევროპულ ოჯახს მოწყვეტილი XVII საუკუნის თბილისით, გარედან თვალსასეირო, თუმცა შიგნიდან ინტრიგებით, ქართველ პატრიოტებთან სისხლიანი ანგარიშსწორებით დამძიმებული ხოსრო მირზას (როსტომ მეფის) სასახლით; 1795 წელს რუსეთის „იმპერატრიცასგან“ განწირული და აღა-მაჰმად-ხანის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის, ერთიანობის იდეასთან ერთად დამარცხებული პატარა კახით; XIX საუკუნეში სამოხელეო ხელოვნების გენიოსით, პირველი ქართველი უზენაესი პროკურორით იაგორ ჭილაშვილითა და XX საუკუნის დასაწყისში ისევ სამშობლოს სიყვარულისთვის მტრის მიერ სიკვდილმისჯილი ილია ჭავჭავაძით დამთავრებული. აი, რატომ ვახსენეთ წერილის დასაწყისში ბატონი ივანეს ლექციებზე ვერდასწრებით გამოწვეული სინანული, ის, თუ რას აღნიშნავდა „ჭიქა ღვინით“ სამი ბრძენკაცი 70-იანების მიწურულს სურგულაძეების ოჯახში და რატომ არის პროფესორი ივანე სურგულაძე ერის იმ უძლეველი ლაშქრის მოძღვართ-მოძღვარი, რომელმაც XX საუკუნის მიწურულს საქართველო დამოუკიდებლობამდე მოიყვანა.

ᲒᲝᲩᲐ ᲤᲔᲠᲐᲫᲔ

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის
სამართლის ისტორიისა და თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი